community

The New Apostolic Church around the world

03/2026/GE

ერთი ეკლესია, ერთი სული, ახალი ხელმძღვანელობა:

რედაქციისგან
ზეციური სიო დედამიწაზე

ღვთისმსახურება
მდოგვის მარცვალი - მცირე რწმენა, ზემოქმედების დიდი ძალა

დოქტრინა
წმიდა ზიარება - ლიტურგიის ცენტრი

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 ზეციური სიო დედამიწაზე

ღვთისმსახურება

4 მდოგვის მარცვალი - მცირე რწმენა, ზემოქმედების დიდი ძალა

საბავშვო კუთხე

10 იოსებ და ძმანი მისნი

12 სტუმრად მარკოსთან ერიში (აშშ)

დოქტრინა

14 წმიდა ზიარება - ლიტურგიის ცენტრი

Global News

18 ერთი ეკლესია, ერთი სული, ახალი ხელმძღვანელობა:

■ თავფურცელი: სამხრეთ აფრიკის ახსე
■ უკანა გვერდი: ურუგვაის ახსე

ზეციური სიო დედამიწაზე

ფოტო: საერთაშორისო ახსნ

ძვირფასო ძმებო და დებო,

უკვე რამოდენიმე კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც პირველმოციქულად მაკურთხეს. მთელი გულით გიხდით მადლობას თქვენი ლოცვებისთვის, მხარდაჭერისთვის, ასევე ყველა სასიკეთო აზრისა და მოკითხვისთვის. დარწმუნებული იყავით, რომ მე ყველა თქვენთაგანისთვის ვლოცულობ.

ეს სულთმოფენობაც გაცილებით მეტს ნიშნავდა ჩვენთვის, ვიდრე ცვლილება ეკლესიის ხელმძღვანელობაში. ყურადღების ცენტრში მოქცეული იყო სულიწმიდის გარდამოსვლისა და ყოველივე იმის გახსენება, რასაც იგი აკეთებს. ის ჩვენს მზერას იესო ქრისტესკენ წარმართავს - და ამით იმ ჭეშმარიტებისკენ, რომელიც გვანმტკიცებს და ორიენტირს გვაძლევს.

იესოში ვაცნობიერებთ, თუ ვინ არის ღმერთი ჩვენთვის: არა შორეული, არც მდუმარე, არც გულგრილი, არამედ ღმერთი, რომელიც მოდის, თავს იმდაბლებს და კაცი ხდება, რათა ჩვენთან იყოს. ის ჩვენს ცხოვრებასა და ტანჯვას იზიარებს, და იქაც კი, სადაც სიძულვილი, ძალადობა და ზიზღი მეფობს, იგი სიყვარულით პასუხობს: მამაო, მიუტევე მათ.“

ვინც ასე უყურებს ქრისტეს, მისთვის აღთქმად იქცევა ჩვენი წლევანდელი დევიზის სიტყვები: „ნუ გეშინია, შენ ოღონდ გწამდეს!“ იმ დროში, როდესაც მრავალი ადამიანი გაურკვევლობას, წუხილსა და შიშს განიცდის, სწორედ ეს არის ნუგეშისმცემლის ღვთიური პასუხი - რამეთუ სრულყოფილი სიყვარული განდევნის შიშს. დაე, შეეხოს ჩვენს გულებს ქრისტეს სიყვარული, რათა შიშმა დკარგოს თავისი ძალა.

შენ ღმერთს უყვარხარ, სასურველი ხარ მისთვის და უზომოდ ძვირფასი - ისევე, როგორც შენი მოყვასი.

სულთმოფენობა გულის ენას გვწყალობს, ენას, რომელიც აკავშირებს, აღადგენს და მშვიდობას ამყარებს. იქ, სადაც ამ ენაზე ლაპარაკობენ, უკვე დაწყებულია ზეცის რაღაც ნაწილი ამქვეყნად.

გულითდი კავშირით
თქვენი

ჰელგე მუჩლერი

მდოგვის მარცვალი - მცირე რწმენა, ზემოქმედების დიდი ძალა

ღვთისმსახურება იმჟამინდელ პირველმოციქულის თანაშემწე ჰელგე მუჩლერთან ერთად ლინდლარში (გერმანია) 2026 წლის 1. თებერვალს.

ფოტოები: დასავლეთ გერმანიის ახსე

ლუკ. 17, 5-6

უთხრეს მოციქულებმა უფალს: „მოგვიმატე რწმენა.“ თქვა უფალმა: „მდოგვის მარცვლისოდენა რწმენაც რომ გქონდეთ და უთხრათ ამ ლეღვის ხეს: აღმოიფხვერი და ზღვაში გადაინერგეო, გაგიგონებდათ.

ერთი ძველი ანდაზა ამბობს: „ბებერ ხეებს აღარ გადარგავენ.“ ეს ხანდაზმულ, ზოგჯერ კი ახალგაზრდა ადამიანებსაც ეხება, რომლებიც ძლიერ არიან მიჯაჭვულნი ტრადიციებს, აზროვნების გარკვეულ წესებს და მთელი ცხოვრების განმავლობაში შეეჩვივნენ მათ. ზოგჯერ ამას იმ ხანდაზმულ ადამიანებთან მიმართებაშიც ამბობენ, რომლებსაც საკუთარი სახლის დატოვება და, შესაძლოა, მოხუცთა ან მზრუნველობის სახლში გადასვლა უწევთ, რაც მრავალი ხანდაზმული და-ძმისთვის ძალიან, ძალიან რთულია.ბებერ ხეს არ გადარგავენ, მით უმეტეს თუთის ხეს ან ლეღვის ხეს, რომელზედაც იესომ მაშინ მიუთითა, როცა მოწაფეებს ესაუბრებოდა.

ლეღვის ხეს საკმაოდ მახინჯი ჩონჩხი აქვს, მაგრამ ამ მახინჯ ჩონჩხს ძალიან, ძალიან ღრმა ფესვები აქვს. თუთის ხეს ან ლეღვის ხეს იმდენად ღრმად აქვს ფესვები გადგმული, რომ მათი გადარგვა, მართლაც, შეუძლებელია. ეს ალბათ უზარმაზარი სპეციალური დანადგარებით არის შესაძლებელი, თუმცა პირინციპში ეს იმას ჰგავს, თითქოს უფალი იესო იმჟამად მოწაფეებთან ერთად „ემპაია სტეიტ ბილდინგის“ (Empire State Building) გვერდით იდგა და ამბობდა: „მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა რომ გქონდეთ, მაშინ ეტყოდით „ემპაია სტეიტ ბილდინგს“: აქედან ამოიძირკვე და ჰადსონ რივერზე (Hudson River) გადაინერგეო.

> მთავარი ის არ არის, რომ დიდი რწმენა გქონდეს. მთავარია დიდი ღმერთის მიმართი გქონდეს მცირე რწმენა.

მოცემული ბიბლიური ციტატა სხვაგვარ გრძნობას გადმოსცემს, სიცოცხლის შეგრძნებას. ლეღვის ხის ამოძირკვისთან, გადარგვასთან დაკავშირებული ეს აზრები სიცოცხლის იმგავარ შეგრძნებას იწვევს, რომ არსებობს ძალა, რომელიც ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ამ დროს შეუძლებელი შესაძლებელი ხდება. ადგილი აქვს სიმსუბუქეს, სიხარულს, რაღაც სრულიად განსხვავებულს, რაზედაც იესო ქრისტე ლაპარაკობს.

ყურადღება უნდა მივაქციოთ კონტექსტს: რას უკავშირდება მოცემული ბიბლიური ციტატა? მნიშვნელოვანია ოთხი წინა მუხლი: ლუკ. 17, 1-დან 4-ის ჩათვლით. იესო ესაუბრება მოწაფეებს და იმაზე მიუთითებს, რომ იქნება ცდუნებები, თავდასხმები გარედან. თქვენ ცდუნებაში შეგიყვანენ. შეეცდებიან გაცდუნონ, რომ ჭეშმარიტ რწმენას ჩამოგაშორონ. მაგრამ კიდევ უფრო ცუდი ის არის, რომ შიგნიდანაც იქნება თავდასხმები. თქვენს შორის გაჩნდება კონფლიქტები. შეიძლება უთანხმოებებიც გქონდეთ. შეიძლება აწყენინოთ კიდეც ერთმანეთს.

თუ მერე შენი ძმა ან და მოვა და მოინანიებს იმას, რომ გაწყენინა, აპატიე მას. და რამდენად ხშირად უნდა ვაპატიოთ? ეს არც ისე იოლია. „დიახ“, ამბობს იესო, „ეს არ არის იოლი.“ მაგრამ თქვენ უნდა აპატიოთ შვიდჯერ. ყოველ დღე. შვიდი სრული რიცხვია. მაგრამ იესოს ამით იმის თქმა კი არ უნდა, რომ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7-ჯერ მხოლოდ ახლა უნდა აპატიოთ,არამედ თუ შენი ძმა მერვედაც მოვა, არ უნდა უთხრათ: „არა, აღარ გაპატიებ.“ რა თქმა უნდა, აქ ეს არ იგულისხმება. ეს რიცხვი სრულია, იესო ამბობს: „ყოველთვის უნდა მიუტევო, მიმტევებელი უნდა იყო.“

ვიცით, თუ რა რთულია ეს, რა ძნელია ზოგჯერ მიტევება. ამიტომაც გვესმის, თუ რატომ უთხრეს მოწაფეებმა იესოს: „უფალო, ეს რთულია, შეუძლებელია. გთხოვთ, ‘მოგვიმატე რწმენა’, რომ ეს შევძლოთ.“ დიახ, მოწაფეები ამ სიტყვებში: „მოგვიმატე რწმენა“ ალბათ შემდეგს გულისხმობდნენ: „უფალო, უფრო მეტი რწმენა გვჭირდება. უკეთესი რწმენა გვჭირდება. უფრო სრულყოფილი რწმენა გვჭირდება, უფრო ძლიერი რწმენა. გვჭირდება რწმენა, რომ უკეთესად ვილოცოთ, რომ ჩვენი რწმენით უფრო მეტი გამრღვევი ძალა შევიძინოთ.“

ნაცნობია შენთვის ეს გრძნობა, ეს სურვილი? „ოჰ, ღმერთო, უფრო მეტი რწმენა რომ მქონდეს, ხომ უკეთესად ვილოცებდი, ღვთისმსახურებაზე ნაუწყებ ღვთის სიტყვას ხომ უკეთ გავითავისებდი, ყველაფერს ხომ უკეთესად, მხნედ და ძლიერად გავაკეთებდი. მაშინ ავადმყოფობასაც ლოცვით მოვერეოდი. მაშინ უკეთ მოვაგვარებდი ჩემს ცხოვრებაში არსებულ სიტუაციებს. უკეთესად მოვერგებოდი ამქვეყნად არსებულ პირობებს. ეს ყველაფერი უფრო გამიიოლდებოდა. ეჰ, ნეტა რწმენის ძველ გმირებს ვგავდე, მაგ., მოსეს. ისრაელის ხალხი ეგვიპტიდან წამოვიდა, გამოიქცა. და აი, მეწამული ზღვის პირას დგას, მათ უკან ეგვიპტის ჯარია, რომელიც დაეწია ისრაელიანებს. ჰორიზონტზე საბრძოლო ეტლებს ხედავენ და ისევ ეგვიპტის მონობაში დაბრუნება სურთ. და

ამ გზავნილში ჩვენთვის ნაცნობი საზღვრების გადალახვაზეა საუბარი. ახალ სიმსუბუქეზე, ახალ ურთიერთობაზე.

აი, მოდის მოსე, რწმენის გმირი, და ამბობს: „ნუ გეშინიათ, უფალი იბრძოლებს თქვენთვის.“ ნეტა მეც მოსეს მსგავსი რწმენის გმირი ვიყო.

ეს ტიპიურია, ტიპიურია იმ სამყაროსთვის, რომელშიც ვცხოვრობთ. ყოველთვის უფრო ძლიერი, ყოველთვის უფრო მეტი გამრღვევი ძალის მქონენი უნდა ვიყო. უნდა ვიბრძოლო. გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, პირველ ადგილზე უნდა დავდგე. ვინაიდან სუსტს არაფრად აგდებენ. სუსტი, რომელიც ყველაზე უკან რჩება და მრბოლავი სპორტსმენების მანქანა გზაში იყვანს მას, დავიწყებას მიეცემა, მას არაფრად აგდებენ. ბოლომდე უნდა იბრძოლო. და თუ საჭირო იქნება, ხელები უნდა დაიკაპიწო და შენი ძალა გამოაჩინო და ბოლომდე იბრძოლო. ეს იმდენად ტიპიურია, რომ მისი გადატანა რწმენაზეც შეიძლება. და სწორედ ამ ვითარებაში, რწმენაზე ამ წარმოდგენებში მოდის იესო და ამბობს: „მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა რომ გქონდეთ.“

მე არ ვარ სოფლის მეურნეობის ექსპერტი, მაგრამ მსმენია, რომ მდოგვის მარცვალი იმჟამად ყველაზე პატარა იყო ცნობილ თესლებს შორის. 700 ცალი ერთ გრამს იწონიდა. კარგი სათვალეა საჭირო იმისათვის, რომ მდოგვის ამ უმცირესი მარცვლის შეუიარაღებელი თვალით დანახვა შევძლოთ. „მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა რომ გქონდეთ.“ შენი სულ მცირე რწმენაც კი, თითქმის დამსხვრეული რწმენაც კი, მნიშვნელოვანია უფალ იესო ქრისტეს თვალში. ის, რომ დიდი რწმენა გაქვს, არ არის გადამწყვეტი. გადამწყვეტია ის, რომ დიდი ღმერთის მიმართ გქონდეს მცირე რწმენა მაინც. შენ რომ დიდი ღმერთის მიმართ სულ მცირე რწმენა გქონდეს, ხეების ამოძირკვას შეძლებდი. მაგრამ ხეების ამოძირკვას შენ მხოლოდ იმიტომ კი ვერ შეძლებ, რომ ძლიერი და დიდი ხარ, არამედ იმიტომ, რომ იესო ქრისტეა შენში დიდი, იმიტომ, რომ იესო ქრისტე უძლურებშია ძლიერი.

მდოგვის მარცვლისოდენა რწმენის შემთხვევაში საქმე ჭეშმარიტ რწმენას ეხება, ნამდვილ რწმენას, იმ რწმენას, რომელიც გადამწყვეტია. ჩვენი წლევანდელი დევიზია: „ნუ გეშინია, შენ მხოლოდ გწამდეს“. „შენ მხოლოდ გწამდეს“ გულწრფელი, ნამდვილი რწმენაა, მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა. რწმენა, რომელიც საკუთარ ძალას არ ეყრდნობა. მე ძლიერი ვარ ანდა ძლიერი უნდა ვიყო. მაგრამ რა მოხდება, თუ ძლიერი არ ვარ? ნამდვილი რწმენა, მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა უბრალოდ და მოკრძალებულად იესოს ქრისტეს არის მინდობილი.

ამ აზრით ნამდვილი რწმენა, ეს უბრალო რწმენა იმისა, რომ ვიყოთ მორწმუნე, უფალ იესო ქრისტეს

კიდევ კატასტროფული დიაგნოზი დაემატა. ამ დროს ზოგჯერ ვფიქრობთ: „ჰო, ახლა განსაკუთრებულად უნდა დავიჩოქო და ვილოცო, რომ ამჟამად მაინც შევძლო ამ პრობლემის გადაჭრა.“ ამისათვის მხოლოდ სწორი რწმენაა აუცილებელი. და რა მოხდება მერე, თუ ეს არ იმუშავებს? აჰ, შენ დაო, ძმაო, რომელსაც გეხება ეს და ტანჯვაში იმყოფები, გისურვებ, რომ მრავალი ეჭვის მიუხედავად, სულ ცოტათი მაინც შეძლო და მიენდო უფალ იესო ქრისტეს. გისურვებ, რომ ამ ღვთისმსახურებაზე ან დღეს ნაშუადღევს, მომავალ კვირას, სულ

რწმენას ნიშნავს. იმის რწმენას, რომ იესო ქრისტე, ღვთის ძე, განკაცდა. რწმენას იმისა, რომ ის ცხოვრობდა და მოქმედებდა დედამიწაზე, რომ ეს სიმბოლოები არ არის, სასიამოვნო, ლამაზი ისტორიები, არამედ რეალური ისტორიული მოვლენებია. ნამდვილი რწმენა ნიშნავს, გვწამდეს იმისა, რომ უფალი იესო ქრისტე ჯვარზე ავიდა, რამეთუ ისიც იქ იყოს, სადაც ჩვენ ვართ, რათა გაგვეგონა მისი უპირობო „არა“ ცოდვისადმი, მაგრამ ასევე მისი „დიახ“ ჩემსა და შენს მიმართ, როგორც ცოდვილების მიმართ; რამეთუ გვეგრძნო, გაგვეგო, რომ ის ჩვენთან არის, ჩვენს ცოდვაშია, თავად ჩვენს სიკვდილშია. ეს ნამდვილი რწმენა იმის რწმენას მოიცავს, რომ ის ჯვარზე მოკვდა. ეს ნამდვილი, გულწრფელი რწმენა იმის რწმენას მოიცავს, რომ ის მესამე დღეს მკვდრეთით აღდგა, რომ სიკვდილმა ვერ დაიჭირა იგი. ეს ნამდვილი რწმენა იმის რწმენას მოიცავს, რომ ის ზეცად ამაღლდა, ღვთის მარჯვნივ ზის, ყველაფერი მის ხელთ არის და იქიდან კვლავ მოვა.

ეს ნამდვილი რწმენა, მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა არის მოკრძალებული, გულწრფელი, მარტივი რწმენა, რომელიც არ გულისხმობს იმას, რომ საკუთარი ძალით უნდა ვიბრძოლოთ, სასოწარკვეთილებმა და შინაგანად დაძაბულებმა, არამედ ის არის უბრალო და მოკრძალებული, მარტივი რწმენა, რომელიც უფალს ანდობს თავს. მაშ, მოდით, იგი პრაქტიკულად გამოვიყენოთ. რას ნიშნავს ეს?

თემა ნომერი პირველი: ტანჯვა. ახლა მე ერთი შემთხვევის შესახებ გავიგე, საკმაოდ მძიმე მდგომარეობა იყო: ასაკი და მძიმე დაავადება. ამას

მცირე სინათლის სხივი გადმოვიდეს ღვთისგან - სწორედ მაშინ, როცა ყველაზე ძლიერ ტანჯვას განიცდი. ამ დროს შეძლებ იგრძნო, ამ დროს შეძლებ განიცადო შემდეგი: „დიახ, შემიძლია მოვეშვა და მივენდო ღმერთს. გაუსაძლის მდგომარეობაში ვიმყოფები, ალბათ ვერასოდეს გამოვჯანმრთელდები, მაგრამ ვგრძნობ, რომ იმედის სულ მცირე სხივი გამოჩნდა. ვხვდები, რომ დიდი ღმერთი მუშაობს იმაზე, რომ დადგება დღე, როცა აღარ იქნება არც ტანჯვა და არც გლოვა, არც ტკივილი და არც ცრემლი, აღარც სიკვდილი აღარ იქნება.“ ცუდი არ არის, თუ ეჭვები გაწუხებს. იქნებ ცოტათი უფრო მეტად ირწმუნო. ესეც საკმარისია. ეს პატარა, სულ მცირე რწმენა, რწმენის ეს მომენტები, ძალიან ბევრს ნიშნავს შენი მაცხოვარისა და უფლის იესო ქრისტეს თვალში.

თემა მეორე: ღმერთის ჩვენეული ხატი (წარმოდგენა). აჰ, გასულ წლებში ბევრი და-ძმის გულში ღვთის გარკვეული ხატები ჩაინერგა და ისეთი ღრმა ფესვები გაიდგა, როგორიც თუთის ხეს აქვს: ღმერთი სჯის. ანდა ესა თუ ის კონკრეტული საქმე წარმატებით უნდა შეასრულოს ღმერთის წინაშე ადამიანმა, რომ ზეცაში მოხვდეს. და ამ დროს მე მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა მაქვს და მჯერა, რომ შეუძლებელიც შესაძლებელია და, რომ ერთად ღვთის სულ სხვაგვარი ხატის შექმნა შეგვიძლია. და აი, ზიხარ ღვთისმსახურებაზე და შეიძლება გასულ ოთხშაბათს ან გასულ კვირას განიცადე კიდეც ეს. აქ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ღმერთი სიყვარულია. მაშინ გაიფიქრე: „არ ვიცი, ღვთის ჩემეული ხატი, რომელსაც 60 წლის განმავლობაში ვატარებდი, ალბათ მთლად სწორი არ არის. იქნებ ღმერთი, მართლაც, სიყვარულია

და ეს სწორედ მდოგვის მარცვლისოდენა რწმენის მომენტებია.“ მაშინ ხელიდან ნუ გაუშვებ ამ პატარა მომენტებს და შეუძლებელი შესაძლებელი გახდება. შენს გულში სულ სხვა ფესვები გაიდგამს ძირს, კერძოდ იმ ღმერთის, რომელსაც სინამდვილეში კარგი უნდა შენთვის, ზურგს გიმაგრებს, ყოველი მხრიდან გიფარავს, რომელსაც შენი დაცვა, შენს გვერდით ყოფნა, შენი გაბედნიერება და გახარება უნდა და სხვა არაფერი აქვს განზრახული, თუ არა შენთან ურთიერთობა და საუკუნოდ შენთან ერთად ცხოვრება. ის სიყვარულია. გისურვებ, რომ ეს იმ მცირე მდოგვის მარცვლისოდენა რწმენის მომენტებში ამოიცნო.

თემა მესამე: ჩვენი ცოდვა. ცოდვამ ფესვები გაიდგა. ჩვენ ხომ ხშირად ყველაზე უკეთ ვიცით, თუ რა არის ჩვენი „საყვარელი ცოდვა“ და გამუდმებით ვფიქრობთ: რატომ ჩავვარდი ისევ ამ ცოდვაში? ასე, საყვარელო ღმერთო, ამ ღვთისმსახურების შემდეგ კიდევ ერთხელ მოვიკრებ მთელ ძალისხმევას და ძირფესვიანად ამოვძირკვავ მას, მე ამას შევძლებ. ამ დროს ვერ აცნობიერებ, რომ საკუთარი ძალით ამას ვერასოდეს შეძლებ. აქ მდოგვის მარცვლისოდენა რწმენაა საჭირო, გულწრფელი რწმენა, რომელიც უბრალოდ მხოლოდ იმას არის დანდობილი, რაც ჯვარცმულმა იესო ქრისტემ მამას უთხრა: „მამაო, მიუტევე მათ“; ასევე იმას, რომ ჯვარზე გაკრული იესო ქრისტე გიყურებს და გეუბნება: „მე გავიმარჯვე და მინდა, რომ ხელი ჩაგკიდო. გინდა ჩემთან ერთად კიდევ ერთხელ სცადო? მე ვძლიე ამ ქვეყანას, ცოდვას. მოდი შენი მცირე, ნამდვილი, გულწრფელი მდოგვის მარცვლისოდენა რწმენით, რომელიც ჩემს ხელს მოგანდობს და ნახავ, რომ მერე ჩვენ ორივე ერთად ვიპოვით ცოდვის ამ ორმოდან ამოსასვლელს.“

თემა მეოთხე: მიტევება. ჩვენს გულებში ღრმად არის ჩაბეჭდილი სხვადასხვა ადამიანების სახეები. იქნება ეს თანამშრომელი, თანაკურსელი თუ მეზობელი. რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ ვიცნობთ მას, ვიცნობთ მის ბებია-ბაბუას, მშობლებს, „ხე ნაყოფით იცნობა“, ყველა ისინი ასეთები იყვნენ, ვერაფერს იზამ, ისინი ასეთები არიან. მერე კი გული გატკინა მან და სრულიად შეუძლებელი ხდება ისეთი სიტუაციის შექმნა, რომ მიტევება ან შერიგება იყოს შესაძლებელი. და მერე? დიახ, დიახ, მე ასეთი რამ სულ ცოტა ხნის წინ გამოვცადე ღვთისმსახურებაზე. არის ერთი ერთმორწმუნე და და ერთი ერთმორწმუნე ძმა. დიდი ხნის წინ, მრავალი წლის წინ, ამ ძმამ გული ატკინა ამ დას. და აი, ღვთისმსახურებაზე საუბარი იყო მიტევებაზე, მაგრამ არა საკუთარი ძალიდან გამომდინარე ამგვარ მიტევებაზე: ახალ მე ამას შევძლებ. ეს იგივე თემაა, რაც მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა. საკუთარი თავის იესო ქრისტეს ხელისათვის მინდობა, მის იმედად ყოფნა, რომ ხელს ჩაგვკიდებს

იგი და სხვა ისეთ ხატს ჩამოაყალიბებს ჩვენს გულში, რომელიც მოყვასს სულ სხვა სახით დაგვანახებს. ღვთისმსახურების შემდეგ ისინი შერიგდნენ. მე მათ საუბარს მოვუსმინე, პრინციპში ეს შეუძლებელი ჩანდა. ვიცი, რომ მიტევების თემა საკმაოდ რთულია. ზოგჯერ ისეთი ცუდი საქმეებია ჩადენილი, რომ ამ დროს მიტევებას მთელი ცხოვრება შეიძლება დასჭირდეს. ან ისეთი რაღაც, რაც ამ ცხოვრებაში შეუძლებელია. ასეც შეიძლება მოხდეს. მაგრამ მოწოდება ასე ჟღერს: ასე ძლიერ ნუ დაიძაბები, არამედ იესო ქრისტეს ხელს მიენდე და აუცილებლად ნახავ, რომ შენი მოყვასის შემთხვევაშიც, რომელიც ალბათ ძალიან ცუდად მოგექცა, შეუძლებელი შესაძლებელი გახდება. ვინ იცის? სწორედ ამაზეა ეს გზავნილი, ჩვენთვის ნაცნობი საზღვრების გადალახვაზე. ახალ სიმსუბუქეზე, ახალ ურთიერთობაზე.

შემდეგი თემა: ჩვენს საზოგადოებაში არსებული მდგომარეობა და ის შიში, რომელსაც ამის გამო განვიცდით. ეს ყველგან იგრძნობა და ხელშესახებია, რითაც არ უნდა ვიყოთ დაკავებული ბოლო ოთხი, ხუთი წლის განმავლობაში. იმდენი შიშია. ამასობაში შიშები გაიზარდა და ღრმად გაიდგა ფესვები ადამიანთა გულებში. ყველა ჩვენთაგანს ვუსურვებ - და ეს თითქმის შეუძლებელი ჩანს იმ რეალობის ფონზე, რომელშიც ვიმყოფებით -, რომ მაინც შევძლოთ - ბრჭყალებში - და ჩვენი საყვარელი უფლის იესო ქრისტეს ხელს მივენდოთ. ხანდახან მაინც დგება მომენტები, მდოგვის მარცვლისოდენა რწმენის მომენტები, როცა ვგრძნობთ, რომ ცხოვრება გრძელდება. ყველაფერი ღვთის ხელშია. მსოფლიოში მიმდინარე ყველა მოვლენა მის ხელთაა და ყველაფერი უფსკრულისკენ არ მიექანება და უკუნეთი სიბნელით არ დასრულდება, არამედ უფალი იესო მოვა და მომავალში დიდებული რამ გველოდება. ვუსურვებ ყველა ჩვენთაგანს, რომ ეს მცირე მომენტები, ეს იმედი და ეს ნათელი ისევ და ისევ აღმოცენდეს ჩვენში.

შემდეგი თემა: მისია. ჩვენ ვხედავთ არსებულ რეალობას: ეკლესიის მერხები ნაწილობრივ სულ უფრო ცარიელდება და საზოგადოების დექრისტიანიზაცია მიმდინარეობს. ამასთან დაკავშირებით იესო ამბობს: „ჰოდა, წადით და გაავრცელეთ რწმენა, მონათლეთ და დამოძღვრეთ ხალხი.“ ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს შეუძლებელია, სრულიად შეუძლებელი. ამ ადამიანების, ამ ლეღვის ხეების გადარგვა ხომ წარმოუდგენელია. ნამდვილად შეუძლებელია. რა სისულელეა! უბრალოდ იესო ქრისტეს ხელს მივენდოთ და ჩვენი მისია შევასრულოთ. შემლებისდაგვარად, მუდმივ კავშირში ვიყოთ მასთან ჩვენი მარტივი, მოკრძალებული და გულწრფელი რწმენით და ვაკეთოთ ის, რაც ძალგვიძს. მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგათ, იმედის მცირე ნაპერწკლები გავაღვივოთ, ვაკეთოთ პატარა კეთილი საქმეები და მოყვასისთვის გულითადი ლოცვები აღვავლინოთ და აშ.

და ბოლო თემა: უფალ იესო ქრისტეს მეორედ მოსვლა. ვამბობთ, რომ, თუ საღი გონებით შევხედავთ ამას, ეს შეუძლებელია. ზოგ და-ძმას შიში ეუფლება, როცა ამაზე ფიქრობს - და აქ ჩვენი ეკლესიის ისტორიულ გავლენასა და შედეგებსაც უნდა შევხედოთ. აჰ, ძალიან მინდა, რომ მომავალში უფალ იესო ქრისტეს მეორედ მოსვლას შიშით კი არ შევხვდეთ, არამედ სიხარული გამრავლდეს ჩვენში. დიახ, თუ გონებით შევხედავთ ამას, ეს აბსოლუტურად შეუძლებელია. და როგორ წარმოგვიდგენია ეს? უფალი იესო მოვა, იქნება მშვიდობის სამეფო და აღდგომა - ეს ყველაფერი ისეთი უცნობი და მიუწვდომელია. მაგრამ ალბათ მაინც შევძლებთ ამის თქმას: „უფალო იესო, ვერ ვიჯერებ. ხან დიდი ეჭვები მიპყრობს, ხან მეშინია. მაგრამ მე უბრალოდ შენს ხელს ვანდობ თავს. და აი, დადგება დღე, როცა კითხვები აღარ გვექნება, რამეთუ ვიხილავთ მას ისეთს, როგორიც არის. ვგრძნობ, რომ ამ დილით უფალ იესოს ჩვენს გულებში ამ გზავნილის ღრმად ჩანერგვა სურს: „ნუ იბრძვით ასე გამწარებით. ნუ იძაბებით ასე ძალიან. ნუ დაეყრდნობით მხოლოდ საკუთარ ძალებს. უმჯობესია, ჩემს ძალას ენდოთ. მე ვარ ძალა. მე ვარ მომავალი. მე ვარ სიცოცხლე. მე ვარ აღდგომა. მე ვარ ნათელი, იმედი და მომავალი. შეგიძლია უბრალოდ ჩემს ხელს მიენდო და მაშინ ხეებსაც კი ამოგლეჯ.“

ძირითადი აზრები

იესო ქრისტესათვის მდოგვის მარცვლისოდენა რწმენაც საკმარისია, ვინაიდან მნიშვნელოვანია არა ჩვენი ძალა, არამედ ღმერთის მოქმედება ჩვენში. სწორედ ტანჯვის, შიშის, დანაშაულის და კონფლიქტების დროს მოგვიწოდებს იესო, რომ მოვეშვათ და მივენდოთ მას. ვინც მის ხელს მიენდობა, იმედს, მიტევებასა და იმის შესაძლებლობას გამოსცდის, რომ თავად შეუძლებელიც კი შესაძლებელი გახდება.

იოსები და ძმანი მისნი

დაბ. 37-ის მიხედვით; 39-41 და 45-47

იოსებს თერთმეტი ძმა ჰყავდა. მამამის იაკობს ის განსაკუთრებით უყვარდა და „ჭრელი კვართი“ აჩუქა. ძმებს შეშურდათ მისი.
ერთ ღამეს იოსებმა ორი სიზმარი ნახა. ორივეში ის ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული და პატივს მიაგებდნენ. როცა ძმებს უამბო ეს სიზმრები, მათ კიდევ უფრო მეტად შეშურდათ მისი და რისხვით აღივსნენ. წესიერად აღარ ელაპარაკებოდნენ მას.
რამოდენიმე ხნის შემდეგ ძმები შორს იყვნენ გასული და ცხვრებს მწყემსავდნენ. მამამ იოსები მათ დასახედად გაგზავნა. როდესაც ძმებმა მათკენ მიმავალი იოსები დაინახეს, ბოროტი გეგმა დაისახეს. წაართვეს კვართი და ღრმა ორმოში ჩააგდეს.
ცოტა ხნის შემდეგ ქარავანმა ჩაიარა იქ. ძმებმა იოსები ოც ვერცხლად მიჰყიდეს ვაჭრებს, რომლებიც ეგვიპტეში მიდიოდნენ. მერე კი მამას უთხრეს, რომ ნადირმა დაგლიჯა იგი. იაკობი ძალიან დამწუხრდა და მრავალი დღე გლოვობდა. ეგვიპტეში ძალიან გაუჭირდა იოსებს. საპყრობილეშიც კი მოხვდა, თუმცა არაფერი დაუშავებია. მიუხედავად ამისა, ღმერთს იყო იგი მინდობილი და ღმერთმა არ მიატოვა ის.
ერთხელაც ფარაონმა გაიგო იოსების სიბრძნისა და იმის შესახებ, რომ ღმერთი სიზმრების ახსნაში ეხმარებოდა მას. ფარაონმა გაანთავისუფლა იოსები და ქვეყანაში მეორე ყველაზე გავლენიან პირად დანიშნა. მას იმაზე უნდა ეზრუნა, რომ ქვეყანა საკმარისად

მომარაგებულიყო ხორბლით
რთული პერიოდებისათვის.
როცა დიდი შიმშილობა
დაიწყო, ეგვიპტეში
საკმარისი ხორბალი
ჰქონდათ - იმდენად ბევრი,
რომ სხვა ქვეყნებიდან
ჩადიოდნენ იქ ხორბლის
შესაძენად.
ერთ დღესაც იოსების ძმებიც
ჩავიდნენ ეგვიპტეში ამ
მიზნით. როცა გარკვეული
ხნის შემდეგ იოსები
გამოეცნაურა მათ, ღმერთი
განადიდა მან, ვინაიდან
ღმერთმა ყველაფერი
სასიკეთოდ წარმართა.
იოსებმა აპატია ძმებს
დანაშაული.
ფარაონის მიწვევით იოსების
მთელმა ოჯახმა ეგვიპტეში
გადასვლა შეძლო და მძიმე
პერიოდში ყველაფრით
უზრუნველყოფილნი იყვნენ.

წყარო: ახალსამოცდაექვსლო ჟურნალი - საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 03. 2026 წ; ილუსტრაციები: მარელა ფირცუნტი

სტუმრად მარკოსთან ერიში (აშშ)

გამარჯობათ, ჩემი სახელია მარკო! ვარ თერთმეტი წლის და ჩემს ოჯახთან ერთად ქალაქ ერიში ვცხოვრობ. ერი მდებარეობს პენსილვანიის შტატის ჩრდილო-დასავლეთით აშშ-ში, უშუალოდ ერის ტბასთან. ტბის მეორე მხარეს კანადაა.

მხოლოდ სამი წელია, რაც აქ ვცხოვრობთ. მანამდე ბურუნდიში ვცხოვრობდით. ბურუნდი არის ერთი პატარა ქვეყანა აღმოსავლეთ აფრიკაში, ძალიან შორსაა ერისგან - 13 000 კმ-ზე მეტით! წარმოიდგინეთ, რომ მგზავრობთ გერმანიაში ზემოდან ქვემოთ, ანუ ფლენსბურგიდან ფიუსენამდე, და თან წინ და უკან შვიდჯერ ადიხართ და ჩამოდიხართ. აი, ასე შორს არის იგი!

ჩემი ოჯახი დიდია. ცხრა შვილი ჰყავთ ჩემს მშობლებს - ამდენად, ოთხი და და ოთხი ძმა მყავს. მე მეოთხე შვილი ვარ და, ამავდროულად, უფროსი ვაჟი. ჩემი უმცროსი ძმა ჯერ კიდევ ჩვილია. მამაჩემი რესტორანში მუშაობს, დედა კი ჩვენ გვივლის, ბავშვებს. სურათზე ჩემს ძმებთან ერთად მხედავთ - ქრისტოფერთან, რომენთან და ქრისტიანთან ერთად.

მე და ჩემი ძმები კარგი გუნდი ვართ. ხშირად ვერთობით ერთად. მაგ., გვიყვარს თეატრში სიარული.

ფოტოები: ბორკი; stock.adobe: petrrgoskov/maramorosz/Marina Zlochin/ Kovacs/natrocfort

მე მუსიკა მიყვარს. ვსწავლობ ვიოლინოზე დაკვრას და დავდივარ დასარტყამი ინსტრუმენტების გაკვეთილებზე. აქ დასარტყამ ინსტრუმენტზე ვუკრავ საგაზაფხულო კონცერტზე.

სხვათა შორის, ბურუნდი ცნობილია დასარტყამ ინსტრუმენტებზე დამკვრელი ჯგუფებით, რომლებიც დიდ, ხმამაღალ დასარტყამ ინსტრუმენტებზე უკრავენ. ალბათ ამიტომაც გვიყვარს მე და ჩემს ძმებს ეს ინსტრუმენტები.

მაგრამ მე მარტო მუსიკით არ ვარ დაკავებული. თავისუფალ დროს ფეხბურთსაც ვთამაშობ.

მომწონს კვირაობით ეკლესიაში სიარული. საკვირაო სკოლაში ბევრი მეგობარი მყავს. ზაფხულში ხშირად ყველა ერთად ვართ ხოლმე ერის ტბის სანაპიროზე. იქ კარგად ვერთობით.

თამაში აშივებს კაცს. აშშ-ში ორი საყვარელი კერძი აღმოვაჩინე: პიცა და მაკარონი ყველით. სახლში ჩემი მშობლები ხშირად ამზადებენ ბურუნდიულ კერძებს - უმეტესად ლობიოთი. მე ისინი ისევ ძალიან მომწონს. მმმჰ!

წყარო: ახალამოცდილული ჟურნალი - საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 03, 2026 წ.

ილუსტრაციები: Mariya/stock.adobe

წმიდა ზიარება - ლიტურგიის ცენტრი

რაც ერთი შეხედვით მხოლოდ დადგენილ სიტყვებად ჟღერს, სინამდვილეში ცოცხალი და პრაქტიკაში განხორციელებული რწმენაა: ლიტურგია აერთიანებს წესრიგს და ღვთის სიახლოვეს. მის ცენტრში კი დგას წმინდა ზიარება — მოძღვრებითი წერილის ფორმები, ჟესტები და მათი მნიშვნელობა.

ცნება „ლიტურგია“, რომელიც ძველბერძნული სიტყვიდან „leiturgeia“ (საჯარო მსახურება) მოდის, ღვთისმსახურების დადგენილ მსვლელობას, სიტყვებს, მღვდელთმოქმედებებსა და ჟესტებს აღნიშნავს, რომლებიც მასში გამოიყენება. ღვთისმსახურება, ერთი მხრივ, ღმერთის ადამიანისათვის მსახურებას წარმოადგენს, ის, სხვათა შორის, სულიწმიდის მიერ შთაგონებულ ქადგებაში, საიდუმლოების აღსრულებასა და კურთხევაში ვლინდება; მეორე მხრივ, ღვთისმსახურება ღმერთის წინაშე ადამიანის მსახურებაც არის, რაც საგალობლებში, ლოცვასა და აღმსარებლობაში გამოიხატება.

ღვთისმსახურება სათავეს იღებს სამერთი ღმერთის ისტორიულ თვითგამოცხადებაში. მისი ამოცანა ღმერთის იესო ქრისტეში თვითგამოცხადების შეხსენებაა, ასევე ის, რომ სიტყვისა და საიდუმლოს

მეშვეობით უშუალოდ აღსაქმელი გახადოს იგი. მაშასადამე, ღვთისმსახურების ცალკეული ელემენტი - სიტყვის უწყება, საიდუმლოების აღსრულება და მინიჭება, ლოცვა-კურთხევა - თვითნებური კი არ არის, არამედ აუცილებელია ხსნის გადასაცემად და მისაღებად.

ისტორიული ცვლილებების პროცესში

ის, თუ როგორ ხდება ეს და როგორია დეტალურად ღვთისმსახურების მსვლელობა, დამოკიდებულია შესაბამის დროსა და საჭიროებებზე. აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება, რომ დროთა განმავლობაში ღვთისმსახურებების გარეგნული სახე შეიცვალა. იმ დროს, როდესაც კათოლიკურ-სამოციქულო ეკლესია და ჰამბურგიდან წამოსული ადრეული სამოციქულო მოძრაობა კომპლექსურ ლიტურგიულ სტრუქტურაზე მიუთითებდნენ, დღევანდელი ახალსამოციქულო ღვთისმსახურება უბრალოებითა და ქადაგებასა და საიდუმლოზე კონცენტრაციით ხასიათდება.

ამის მაგალითია რეფორმაციული ღვთისმსახურება ქადაგებით, რასაც მოციქულები ვილჰელმ შვარცი და ფრიდრიხ მენკფოფი ირლანდიაში გაეცნენ და უკვე XIX საუკუნის 70-ან წლებში მათ მიერ კურირებულ თემებში შეიტანეს. ამ ცვლილებების მიზანი, რომლებიც შემდეგ XIX საუკუნის ბოლოს ყველა ახალმა სამოციქულო თემმა მიიღო, უპ. ყოვლისა, იყო მოციქულის სასულიერო თანამდებობის პიროვნულად ხელახლა დაკავების გზავნილისა და ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის მოსამზადებლად საკმარისი ადგილის დათმობა, ასევე მისი, შემლებისდაგვარდ, მარტივად უწყება. გარდა ამისა, ჩვენი ეკლესიის ადრეულ პერიოდში ღვთისმსახურებები ისეთ ადგილებშიც ტარდებოდა, რომლებიც ნაკლებად თუ იყო შესაფერისი უფრო რთული და დახვეწილი ლიტურგიის ჩასატარებლად.

მე-20 საუკუნის განმავლობაში ახალსამოციქულო ღვთისმსახურება შესამჩნევად გამარტივდა, ისე რომ დიდწილად უარი ითქვა ლიტურგიულ ჟესტებსა და ლოცვების, კურთხევებისა და საიდუმლოთა მინიჭების აშკარა განსხვავებებზე. ეს სიტუაცია XXI საუკუნის პირველ ათწლეულში შეიცვალა, როდესაც ჩვენი ეკლესიის ლიტურგიის ახლიდან - თუმცა ფრთხილი - გააზრება მოხდა. 2010 წელს გავრცობილი ლიტურგია შემოვიდა, რაც, უპ. ყოვლისა, წმიდა ზიარების აღსრულების მსვლელობას და კონსეკრაციის სიტყვების დადგენას ეხებოდა.

ამ კონტექსტში არა მხოლოდ თავიდან აღმოაჩინეს ცნება „ლიტურგია“, რომლის გამოყენებასაც XX საუკუნის დასაწყისიდან შედარებით ერიდებოდნენ, არამედ გაიზარდა ინტერესი ლიტურგიული საკითხების მიმართ - მაგ., ლიტურგიული მოვლენის თეოლოგიური ფონისა და მისი სათანადო აღსრულების მიმართ.

მოციქულის პასუხისმგებლობის ქვეშ

ღვთისმსახურების ლიტურგია - ისევე როგორც ეკლესიის წესრიგი - მოციქულების მიერ სავალდებულო წესით დგინდება (მოციქულები როგორც „მნეები“, ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო, კატ. 7. 4. 1). სავალდებულოა სიტყვები, რომლებიც ლიტურგიის აღსრულებისას წარმოითქმის - როგორიც არის, მაგ., ტრინიტარული შესავალი, „მამო ჩვენოს“ ფორმულირება, აბსოლუციისა (მიტევების) და კონსეკრაციის ფორმულები და ასევე ლიტურგიული ჟესტები. ეს მოთხოვნა აუცილებელია, რამეთუ ნათლად გამოჩნდეს, რომ ის, რაც ღვთისმსახურებაზე ხდება, თვითნებური არ არის და არ შეესატყვისება ინდივიდუალურ სიმპათიებს. მორწმუნე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ღვთისმსახურება მოციქულთან ერთიანობაში ხორციელდება და არ შეიძლება საიდუმლოთა კანონიკური მინიჭების სუბიექტური და თვითნებური ცვლილებებისა და დამატებების გამო მათი ეჭვქვეშ დაყენება.

კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ლიტურგიის ყოველი სიტყვა და ყოველი ჟესტი მნიშვნელოვანია და ჩვენი ეკლესიის მოძღვრებასა და რწმენასთან არის დაკავშირებული.

ლიტურგიის განმეორებადი ელემენტების აღსრულების მიზანი (მაგ., ტრინიტარული შესავალი, აბსოლუცია, კონსეკრაცია და ამ.) ისიც არის, რომ ადამიანს ღმერთის მუდმივი და საიმედო მზრუნველობა თვალნათლივ დაანახოს. ამდენად, ღვთისმსახურებაზე დამსწრე მორწმუნეს დაცულად შეუძლია იგრძნოს თავი ღმერთის უცვლელი ერთგულების ქვეშ.

ზიარება ღვთისმსახურების ცენტრში

ზიარების ლიტურგია ახალსამოციქულო ღვთისმსახურების ცენტრს წარმოადგენს.

წმიდა ზიარების აღსრულებისას იესო ქრისტეს ყოფნა მის ეკლესიაში უფრო მაღალ საფეხურზე ადის: თუ მკვდრეთით აღმდგარი უფლი ღვთისმსახურებაზე მანამდე სულიერად სუფევდა, ახლა უკვე სულიწმიდის ძალით რეალურადაც სუფევს - კერძოდ მისი ხორცისა და სისხლის მეშვეობით. მაშასადამე, მკვდრეთით აღმდგარი უფალი მისი განდიდებული სხეულით არის წარმოდგენილი და საკუთარ თავს საკრამენტალური ფორმით უძღვნის ეკლესიას.

ზიარების ლიტურგია ორი ნაწილისგან შედგება:

- მომზადებული ნაწილისგან, რომელიც ცოდვების აღიარებას და ცოდვათა მიტევების გამოცხადებას ეხება. ეს ნაწილი შემოწირულობის ლოცვით სრულდება.
- ზიარების მთავარი ნაწილი იწყება სიტყვებით: „ახლა კი ვიზეიმოთ წმიდა ზიარება“, ანუ პურისა და ღვინის კონსეკრაციით (გამონაწილება-კურთხევა), რის შედეგადაც ქრისტეს ხორცისა და სისხლის სუფევის განხორციელება ხდება. კონსეკრაციის ბოლოს ტარდება ზიარება, ე. ი., ნაკურთხი სეფისკვერის მიღება სასულიერო პირისა და ეკლესიის წევრების მიერ.

ცოდვათა მიტევების გზაზე

მოკლე მიმართვაში მითითებულ უნდა იქნას მონანიებისა და წმიდა ზიარების მნიშვნელობაზე. მონანიებაზე საუბარი აუცილებელია, რამეთუ არასრული და მცდარი წარმოდგენების გამოსწორება მოხდეს. ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ მონანიების აქტი მხოლოდ ერთ ლიტურგიულ მოვლენამდე არ დავიდეს, არამედ ნათელი უნდა გახდეს, რომ მონანიება - როგორც საკუთარი ნაკლოვანების გაცნობიერება და ღმერთის წყალობაზე სრული დამოკიდებულების აღიარება - საერთოდ ქრისტიანული ცხოვრების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

კატ. 7. 4-ში ხაზგასმულია შემდეგი: „სამოციქულო მსახურება, რომელიც შერიგებას ქადაგებს (2. კორ. 5. 18. 19), მონანიებისკენ მოუწოდებს და ადამიანები ხსნის ღვთიურ საქმეებამდე მიჰყავს, რომლებიც იესო ქრისტეში აღსრულდა.“

მაშასადამე, ცოდვათა მიტევება ავტომატურად კი არ ხდება, არამედ მხოლოდ მონანიებისათვის მზადყოფნით მიიღწევა. სტატიაში „მოსაზრებანი ცოდავათა მიტევებასთან დაკავშირებით“ (ძირითადი აზრების სპეც გამოშვება 2/2025 წ.) შემდეგი ფორმულირებები გვხვდება:

„ცოდვათა მიტევების აუცილებელი წინაპირობა ინტენსიური მომზადებაა.

- საფუძვლიანად უნდა გამოვიკვლიოთ საკუთრი თავი და გავაცნობიეროთ ჩვენი შეცდომები;
- ვაღიაროთ ცოდვები ღმერთის წინაშე. რაც იმას ნიშნავს, რომ არა მხოლოდ ჩვენი შეცდომები უნდა დავინახოთ, არამედ დანაშაულიც;
- მოვინანიოთ. მაშასადამე, იმის მტკიცე გადაწყვეტილება უნდა გამოვხატოთ, რომ გამოსწორება გვსურს.
- მტკიცედ დავადგეთ მოყვასთან შერიგების გზას.

მონანიებისათვის მზადყოფნა და ცოდვების შენდობა წმიდა ზიარების ღირსეულად მიღების წინაპირობებია.

სინანულის საგალობელი და „მამაო ჩვენო“

სინანულის საგალობელი მჯდომარე მდგომარეობაში სრულდება, ვინაიდან ჯდომა ამ კონტექსტში თვითჩაღრმავებას გამოხატავს.

ამდენად, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ისეთი საგალობელი შესრულდეს, რომელშიც ადამიანის ცოდვილიანობა და მონანიების აუცილებლობაა თემატიზირებული.

თუ თემმა ამ დროს სიჩუმე უნდა შეინარჩუნოს, მაშინ მნიშვნელოვანია, წინასწარ იცოდეს, თუ როგორ გამოიყენოს ეს სიჩუმე: მაგ., ღვთის ნების დარღვევის გამო მიტევებისა და მიმტევებლობის გაძლიერებისათვის სათხოვნელად.

ის, რომ „მამაო ჩვენო“ თემის მიერ ცოდვების შენდობამდე (აბსოლუციამდე) და წმიდა ზიარების კონსეკრაციამდე წარმოითქმის, იმას უკავშირდება, რომ ახალსამოციქულო ლიტურგიაში ის გაგებულია როგორც პურობის ლოცვა („პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს“) და როგორც სინანულის ლოცვა (მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენნი“).

ღვთისმსახურების ხელმძღვანელი თემს ერთობლივი ლოცვისკენ მოუწოდებს: „მოდით, ფეხზე წამოვდგეთ და წარმოვთქვათ ლოცვა, რომელიც უფალმა იესომ გვასწავლა.“

შენდობითი ლოცვა

შენდობითი ლოცვის სავალდებულო ტექსტი ასე ჟღერს: „ჩემი გამომგზავნი მოციქულის დავალებით გახარებთ: ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით, ცოცხალი ღმერთის ძის სახელით, მოგეტევათ თქვენ ცოდვები თქვენი. მშვიდობა მკვდრეთით აღმდგარი უფლისა, დაე, იყოს თქვენთან! ამინ.“

ღვთისმსახურების ხელმძღვანელი, პირველ რიგში, იმაზე მიუთითებს ხაზგასმით, რომ ცოდვათა მიტევების უწყება მოციქულის დავალებით ხდება და უშუალოდ სამოციქულო უფლებამოსილებას უკავშირდება. ცოდვებს ღმერთი მიუტევებს. ეს უწყება ცოდვილის იმაში თვითდარწმუნებას ემსახურება, რომ ღმერთი მოწყალეა და ცოდვებს მიუტევებს.

ზემოთ ნახსენებ სტატიაში „მოსაზრებანი ცოდვათა მიტევებასთან დაკავშირებით“ ნათქვამია: „მოციქული შენდობას იუწყება, მაგრამ ღმერთია ის, ვინც მიუტევებს. მოციქულის უფლებამოსილება, ცოდვათა მიტევების თვალსაზრისით, ავტომატური არ არის. თუმცა ცოდვების ჩამოსარეცხად ცოდვათა მიტევების მხოლოდ მოციქულის მიერ უწყება არ არის საკმარისი. მიტევება მაშინ მოქმედებს, თუ ცოდვილი მზად არის მონანიებისა და მიტევებისათვის. უფლებამოსილება, რომლითაც მოციქულები ცოდვათა მიტევებას იუწყებიან, ძირითადად ეყრდნობა პარაკლისის სწორად ჩატარებისა და საიდუმლოთა სწორად განკარგვის მათზე დაკისრებულ მოვალეობას, ცოდვილი დარწმუნებულია, რომ მიაღწევს ცოდვათა მიტევებას, თუ სამოციქულო მსახურების ავტორიტეტს რწმენით მიენდობა. მოციქულები იღწვიან როგორც ქრისტეს ელჩები: თავად იესო ქრისტეა ის, რომელიც მათი პირით შეუნდობს ცოდვებს მორწმუნეს“ (ძირითადი აზრების სპეც. გამოშვება 2/ 2015 წ.). გარდა ამისა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ „ღმერთს სასულიერო სამსახურისა და ეკლესიისგან სრულიად დამოუკიდებლად შეუძლია ცოდვების მიტევება! თუმცა იმაში, რომ ცოდვები ნამდვილად მიეტევათ, მხოლოდ ისინი შეიძლება იყვნენ სრულიად დარწმუნებულნი, ვისაც ცოდვები მოციქულმა მიუტევა.“

მონანიება და ცოდვათა მიტევება წმიდა ზიარების ღირსეული მიღებისათვის მომზადებას წარმოადგენს. მეორე ნაწილში, რომელიც „კომუნიტის“ მომდევნო გამოცემაში გამოქვეყნდება, ნაჩვენები იქნება, თუ რატომ არის ლიტურგიის თვითეული ეტაპი შეხვედრაზე, თანაზიარებაზე და ხსნაზე ორიენტირებული.

სარედაქციო კოლეგია:
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: სიმონ ჰაინიგერი

ერთი ეკლესია, ერთი სული, ახალი ხელმძღვანელობა:

ახალსამოციქულო ეკლესიას ახალი პირველმოციქული ჰყავს: მოქმედმა პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა სულთმოფენობაზე თავისი მემკვიდრე ჰელგე მუჩლერი პირველმოციქულად აკურთხა. პირდაპირ ტრანსლიაციას სამხრეთ აფრიკიდან ეკლესიის ასიათოსობით წევრი ადევნებდა თვალს.

ფოტო: ეკლესიამ სამხრეთ აფრიკის ახსნ

ეკლესია, როგორც ქრისტეს სხეული, რომლის ასოებიც ძალიან განსხვავებულები არიან, მაგრამ საუკეთესოდ მხოლოდ ერთად მოქმედებენ - ამაზე იყო ლაპარაკი ტაფელზიგის (კეიპტაუნი) თემში ჩატარებულ ღვთისმსახურებაზე. ამ ღვთისმსახურებას საფუძვლად დაედო ბიბლიური ციტატა 1. კორ, 12, 13-დან: „ვინაიდან ყველანი ერთი სულით მოვინათლეთ ერთ სხეულად - იუდეველები თუ ელინები, მონები თუ თავისუფლები, და ყველას ერთი სული გვისვამს.“

ღვთისმსახურების ბოლოს ადგილობრივი და ტრანსლიაციის მეშვეობით შემოერთებული თემების მორწმუნეები შეძრულნი და აღელვებულნი ადევნებდნენ თვალს იმას, თუ როგორ აკურთხა პირველმოციქულმა შნაიდერმა მისი მემკვიდრე პირველმოციქულად და როგორ გაუშვა ახალმა პირველმოციქულმა მუჩლერმა მისი წინამორბედი დამსახურებულ პენსიაში.

პირველმოციქული შნაიდერი საერთაშორისო ახალსამოციქულო ეკლესიას 2013 წლიდან ხელმძღვანელობდა. მისი მსახურების პერიოდი კატეხიზმოს ეფუძნებოდა, რომელიც მისი წინამორბედის ვილჰელმ ლებერის თაოსნობით ჩამოყალიბებულ იქნა როგორც ახალსამოციქულო მოძღვრების პირველი და დეტალური განმარტება. პირველმოციქულ შნაიდერის ხელმძღვანელობით სამხ. მოციქულთა კრებამ განმარტა და დააზუსტა დარჩენილი საკითხები, უპ. ყოვლისა, სასულიერო მსახურებასთან (თანამდებობასთან) დაკავშირებით.

გარდა ამისა, მისი მსახურების პერიოდი იმითაც გამოირჩეოდა, რომ ამ ცვალებად სამყაროში ეკლესია ორგანიზაციულად გამართული ყოფილიყო და გაძლიერებულიყო საერთაშორისო თანამშრომლობა. თუმცა ყურადღება ძირითადად გამახვილებული იყო იმაზე, რომ მორწმუნეები სიტყვითა და საქმით ყოფილიყვნენ იესო ქრისტეზე ორიენტირებულნი და მისი მეორედ მოსვლისთვის მომზადებულიყვნენ.

თავის პოტენციურ მემკვიდრედ პირველმოციქულ შნაიდერს გარკვეული პერიოდის განმავლობაში ერთი ადამიანი ჰყავდა მხედველობის არეში: მოციქული, რომელიც 2021 წელს თავიდან ჩრდილო და აღმოსავლეთ გერმანიის სამხ. მოციქულის თანაშემწედ იქნა დანიშნული. მაშინ თავად იქაურმა სამხ. მოციქულმაც არ იცოდა, „რომ მისი თანაშემწე არასოდეს გახდებოდა მისი მემკვიდრე.“ პირველმოციქულმა ამაზე 2025 წლის აგვისტოში ჰანოვერში ჩატარებული მღვდელმოქმედებების დროს მიანიშნა.

„დიდხანს ვლოცულობდი, ღმერთსაც კი შევეჭიდე“, თქვა პირველმოციქულმა სულთმოფენობაზე - ცოტა ხნით ადრე, ვიდრე მოციქულ მუჩლერს

პირველმოციქულის თანაშემწედ დანიშნავდა და, ამდენად, თავის მომავალ მემკვიდრედ დაასახელებდა. „ღმერთმა შეისმინა ეს ლოცვა. დღეს მტკიცედ და სრულიად დარწმუნებულმა შემიძლია განვაცხადო, თუ ვინ ამოირჩია ღმერთმა ჩვენს მომდევნო პირველმოციქულად.“

ჰელგე მუჩლერი, დაბადებული 1974 წელს ტიუბინგენში, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორია. ეკლესიაში სრული განაკვეთით მსახურების დაწყებამდე იგი ქვემო საქსონიის საგადასახადო მრჩეველთა პალატის აღმასრულებელი დირექტორი იყო. საეკლესიო მსახურების პირველი დავალება მან 1994 წელს მიიღო; 2015 წელს პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა იგი მოციქულად აკურთხა. ის დაქორწინებულია და ორი შვილის მამაა.

ჰელგე მუჩლერმა თავისი სულიერი ხედვა უკვე 2025 წლის სულთმოფენობის ღვთისმსახურებაზე გამოკვეთა. თავის ქადაგებაში იმაზე ილაპარაკა, რომ სულთმოფენობა „გულის ენის დასაწყისია“; რომ სულიწმიდა გვეხმარება, დავინახოთ ღმერთი, საკუთარი ღირებულება ღმერთის წინაშე და მოყვასი; რომ ამ გახლეჩილ სამყაროში სიკეთის კეთება და მშვიდობის დამყარებაა მნიშვნელოვანი სულიწმიდის ძალის მეშვეობით.

კითხვაზე, თუ ვინ არის ეს ახალი კაცი, პირველი პასუხი პირველმოციქულმა ჰელგე მუჩლერმა საერთაშორისო ახალსამოციქულო ეკლესიის საინფორმაციო პორტალ nac.today-სათვის მიცემულ ინტერვიუში გასცა - უშუალოდ მისი დანიშვნის შემდეგ. „ეს უზარმაზარი საქმეა“, თქვა ჰელგე მუჩლერმა თავის მოწოდებასთან დაკავშირებით. „გარდა იმისა, რომ ღმერთს მივენდო, სხვა შანსი არ მაქვს.“ ამიტომ: „ამ მოწოდებას მკაფიო შინაგანი „დიახ„-ით ვიღებ - ღვთისადმი რწმენითა და ნდობით.“

მისთვის მნიშვნელოვანია, მაგ.,

- სასულიერო მზრუნველობა: „მე ვისურვებდი ..., რომ სასულიერო მზრუნველობის ხალისი გაჩნდეს.“ ვინაიდან: „სასულიერო მზრუნველობა აკავშირებს. და სადაც კავშირი არსებობს, იქ იწყება ზეციური ნუგეში და სიხარული.“
- მრავალფეროვნება: „საზოგადოება ისეთი მრავალფეროვანი შეიძლება იყოს, როგორც ფერადი ყვავილების მდელოა. და რა კარგია, როცა ამის თქმა შეიძლება: ‘მე გხედავ შენ, პატივს გცემ შენ - დაე, თუნდაც განსხვავებული იყო. რადგან მეც განვსხვავდები სხვისგან.“
- დიალოგი: „მრავალფეროვნება მხოლოდ დიალოგის გზით ფუნქციონირებს. დიალოგი არის განსხვავებების ერთად გავლა ისე, რომ მათი აღმოფხვრა არ მოვინდომოთ.“

ამასთანავე, რწმენაში აღმასვლები და აღმასვლებიც უცხო არ არის პირველმოციქულისათვის: „ჩემი ცხოვრების მძიმე ფაზაში შინაგანად დავშორდი ღმერთს და საყვედურებს ვეუბნებოდი მას. ასე გაგრძელდა რამოდენიმე ხანი და მერე რაღაც საოცარი რამ მოხდა.“ კერძოდ: „ღმერთი არ მშორდება, არამედ ერთგულად რჩება ჩემს ცხოვრებაში. უსაზღვროდ აღფრთოვანებული ვიყავი ამ ღმერთით, მისი მადლით ... და ასე ვარ დღემდე.“

პორტრეტი: ჰელგე მუჩლერი

ჰელგე მუჩლერი დაიბადა 1974 წლის 8 აგვისტოს ტიუბინგენში (გერმანია) და სამ და-ძმასთან ერთად ფროიდენშტატში, შვარცვალდში, გაიზარდა.

სკოლის დამთავრებისა და სამოქალაქო სამსახურის დასრულების შემდეგ, 1995 წლიდან ჰელგე მუჩლერი ჰანოვერის უნივერსიტეტში სამართალს სწავლობდა. სწავლის წარმატებით დასრულებისა და 2003 წელს ადვოკატის ლიცენზიის მიღების შემდეგ იგი ქვემო საქსონიის საგადასახადო მრჩეველთა პალატის აღმასრულებელ დირექტორად დაინიშნა. 2005 წელს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

2007 წლიდან ჰელგე მუჩლერი დაქორწინებულია მის მეუღლე ანა-ჟულიეტზე. შვილებთან ერთად ოჯახი ჰანოვერში ცხოვრობს, ქვემო საქსონიის ფედერალური მიწის დედაქალაქში.

20 წლის ასაკში დიაკვნის თანაშემწის სასულიერო წოდება მიიღო, ეს მისთვის პირველი სასულიერო წოდება იყო. ამას სხვა სასულიერო დავალებები და სასულიერო წოდებები მოჰყვა. 2015 წელს პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა იგი 41 წლის ასაკში მოციქულად აკურთხა.

ექვსი წლის შემდეგ, 2021 წელს, იგი ჩრდილო და აღმოსავლეთ გერმანიის სამხ. მოციქულის თანაშემწეედ დაინიშნა. ამ ფუნქციით იგი გერმანიის თემების გარდა კურირებდა ასევე ახალსამოციქულო ქრისტიანებს დიდ ბრიტანეთში, ირლანდიაში, ჩრდ. ევროპაში, რუსეთსა და ცენტრალურ აზიაში. 2025 წლის სულთმოფენობაზე მისი პირველმოციქულის თანაშემწედ დანიშვნით საბოლოოდ გაეცა პასუხი საერთაშორისო ეკლესიის ხელმძღვანელობის მემკვიდრეობის საკითხს.

პროგრამა

01.07.2026 წ. კინშასა (კდრ)
03.07.2026 წ. დემბა (კდრ)
05.07.2026 წ. კანანგა (კდრ)
16.08.2026 წ. ჰანაუ (გერმანია)
23.08.2026 წ. კიშინიოვი (მოლდოვა)
30.08.2026 წ. როიტლინგენი (გერმანია)
06.09.2026 წ. ოლდენბურგი (გერმანია)
12.09.2026 წ. ბუდაპეშტი (უნგრეთი)
13.09.2026 წ. ვენა (ავსტრია)
27.09.2026 წ. კარაჩი (პაკისტანი)

New Apostolic Church
International